# ხელშეკრულება №83

ქ. მცხეთა — 8 სექტემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ინეზა მაქარაშვილი"-ს სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 უკრაინაში „პერეიასლავ ხმელნიცკიში" გასამგზავრებელი დელეგაციისათვის საჩუქრების და სუვენირების შესყიდვა. (**CPV** კოდი:18530000)

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან 5 სამუშაო დღე.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 689 (ექვსას ოთხმოცდა ცხრა) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

41 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

11.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და საინფორმაციო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ინნა ახალბედაშვილი.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

| „მიმწოდებელი" | „შემსყიდველი" |
| --- | --- |
| ი/მ „ინეზა მაქარაშვილი"<br>ს/კოდი: 34001000579<br>სს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი<br>ბ/კ BAGAGE22<br>ა/ა GE54BG0000000230757600 | მცხეთის მუნიციპალიტეტი<br>ს/კოდი: 236094196<br>ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი<br>ბ/კ LBRTGE22<br>ა/ა GE93LB0120130269077000 |
| მის: რუსთაველის გამზირი №26 | მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის №73 |
| ინდ. მეწარმე<br>ი. მაქარაშვილი | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე<br>გ. ატაშვილი |